



საგანმანათლებლო პროგრამა

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ოქმი № 4, 27 მაისი 2021 წელი

სამსახურის უფროსი /ასოც. პროფ. დოქტ. ნინო ჯოჯუა/

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი № #23 , 07 ივნისი, 2021 წელი

ფაკულტეტის დეკანი /ასოც. პროფ. დოქტ. ილია ბოცვაძე/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 12, 08 ივნისი, 2021 წელი

რექტორი /დოქტ. საფფეთ ბაირაქეთუანი/

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ეკონომიკა

თბილისი
2021 წელი



საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკა/Economics

ფაკულტეტი: ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: აფილირებული ასოცირებული პროფესორი აზერ დილანჩიევ
მობილური: +995 599 975 972 , ელ. ფოსტა: adilanchiev@ibsu.edu.ge

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე: ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 6

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): 0311 ეკონომიკა / Economics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი/ Bachelor in Economics

კვალიფიკაციის კოდი: 0311

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა: უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორისაა:

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 160 კრედიტი

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 119 კრედიტი
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; სტუდენტმა უნდა აითვისოს 20 კრედიტი შეთავაზებული 94 კრედიტიდან **სტუდენტმა მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მიმართულების კურსებით.**

თავისუფალი კომპონენტი - 80 კრედიტი:

სავალდებულო:

- საბაზისო სასწავლო კურსები - 14 კრედიტი;

თავისუფალი-არჩევითი:

- უცხოური ენის კომპონენტი - 20 კრედიტი;
- თავისუფალი სასწავლო კურსები/დამატებითი პროგრამა - 50 კრედიტი;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი ჩასაბარებელი სავალდებულო საგანია: მათემატიკა ან ისტორია. ამასთან აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე შეიძლება ჩააბაროს შემდეგი უცხო ენებიდან ერთერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული, ესპანური.



საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე – (<https://iro.ibsu.edu.ge/en/home>)

პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ეკონომიკის თეორიების, პრინციპების, მოდელების, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე, ისე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;
2. სტუდენტებს გამოუმუშავოს ეკონომიკის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე (მიკრო, მაკრო, საერთაშორისო) მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების შეგროვების, განმარტების, ანალიზის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
3. სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოახდინონ მისი ეფექტური წარდგენა დაინტერესებული აუდიტორიისათვის;

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განმარტავს ეკონომიკის, როგორც სოციალური მეცნიერების განვითარების ეტაპებს, აღწერს ეკონომიკის ფუნდამენტურ თეორიებს, პრინციპებს, მოდელებს და ახასიათებს ეკონომიკის ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენების კანონზომიერებებს; 2. განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს და მსჯელობს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალურ, მონეტარულ და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე;
-------------------------------------	---



საგანმანათლებლო პროგრამა

	<p>3. აღწერს ეკონომიკის სფეროში მიმდინარე მოვლენების კვლევის ლოგიკას, განმარტავს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებს და ხსნის მათი გამოყენების თავისებურებებს;</p>
<p>უნარები</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>4. იყენებს ეკონომიკურ თეორიებს, ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებსა და მოდელს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირებისათვის;</p> <p>5. აანალიზებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს მათემატიკური, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს;</p> <p>6. აგროვებს სოციალური კვლევის მეთოდების გამოყენებით ეკონომიკის სფეროსათვის დამახასიათებელ მონაცემებს, ახდენს მათ დამუშავებას, ინტერპრეტირებას და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შესრულებას და მიზნობრივი აუდიტორიისათვის მის პრეზენტაციას;</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>7. იღებს პასუხისმგებლობას განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, აფასებს საკუთარ ცოდნასა და შესაძლებლობებს ეკონომიკის სფეროში, განსაზღვრავს სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებებს და გეგმავს საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებას;</p>



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები						
	LO 1	LO 2	LO 3	LO 4	LO 5	LO 6	LO 7
მოამზადოს ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ეკონომიკის თეორიების, პრინციპების, მოდელების, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და იქნებიან კონკურეტუნარიანები, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე, ისე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;	✓	✓	✓				
სტუდენტებს გამოუმუშავოს ეკონომიკის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე (მიკრო, მაკრო, საერთაშორისო) მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების შეგროვების, განმარტების, ანალიზის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;				✓	✓	✓	
სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოახდინონ მისი ეფექტური წარდგენა დაინტერესებული აუდიტორიისათვის;							✓



საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის კურსკულუმის რუკა :

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	პროგრამის სწავლის შედეგები						
	ცოდნა და გაცნობიერება			უნარი			პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
	LO 1	LO 2	LO 3	LO 4	LO 5	LO 6	LO 7
აკადემიური წერა						1	1
ინფორმაციული ტექნოლოგიები			1			1	1
მათემატიკა I			1		1		
მიკროეკონომიკის საფუძვლები	1			1	1		
სოციოლოგიის საფუძვლები	1	1				1	
ეკონომიკური აზრის ისტორია	1	1		1			
ფსიქოლოგიის საფუძვლები							1
ბიზნეს ინგლისური I						1	
მათემატიკა II			1		2		2
მაკროეკონომიკის საფუძვლები	1/2			2	1/2		
სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებისათვის 1			1/2		1/2	1/2	
საერთაშორისო ეკონომიკა		2			2		
მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)	2			2	2		2
მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	2			2	2		2
ბიზნეს ინგლისური II						2	
მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია	1/2						
სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებისათვის 2			2		2	2	2



საგანმანათლებლო პროგრამა

ეკონომეტრიკა I	1/2		2		2	2	
საჯარო სექტორის ეკონომიკა		2		2	2		
ფისკალური ეკონომიკა	2			2	2		2
ეკონომეტრიკა II	2		2	2	2	2	2
მონეტარული ეკონომიკა	2			2			
ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა		1/2					2
კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში			2			2	2
ევროინტეგრაციის ეკონომიკა		2		2			
ეკონომიკური ზრდა და განვითარება	2	2		2			
პრაქტიკა	3	3	3	3	3	3	3
საბაკალავრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3
1 - გაცნობა 2 - გაღრმავება 3 - განმტკიცება							



საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ლექცია - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქვისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქვისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

სემინარი - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინაციას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

დამოუკიდებელი მუშაობა - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანეოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:



საგანმანათლებლო პროგრამა

პრეზენტაცია (ლექტორის მიერ) – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორი იძლევა კონკრეტულ მაგალითებსა და დეტალურ განმარტებებს.

დემონსტრირება – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ინდუქცია - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილშიც შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

ანალიზი - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზი - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.



საგანმანათლებლო პროგრამა

შემთხვევების შესწავლა (case study) - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გააანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

გონებრივი იერიში (brain storming) - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

დისკუსია / დებატები - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები - თამაშების ტიპის აქტივობა, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პროექტი - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.



საგანმანათლებლო პროგრამა

პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ) - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და თვალსაჩინოების კუთხით ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამაღლებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, ანალიზი და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

ელექტრონული საშუალებებით სწავლება - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

ამოცანების ამოხსნა - კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობისას პედაგოგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე.

პრობლემების გადაჭრა - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდივიდუალური მუშაობა - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პრცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

წიგნზე მუშაობა - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

საშინაო დავალების შესრულება - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით



საგანმანათლებლო პროგრამა

გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;



საგანმანათლებლო პროგრამა

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;
- ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/საბაკალავრო ნაშრომის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი განაწილებულია ოთხი აკადემიური წლის, რვა სემესტრის განმავლობაში. თითოეულ სემესტრში სტუდენტის მიერ ასაღები კრედიტების მოცულობაა 30 კრედიტი. თითოეულ სემესტრში შესაძლებელია კრედიტების რაოდენობა იყოს 30-ზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის ფარგლებში, კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია



საგანმანათლებლო პროგრამა

კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათი, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის ფარგლებში, არჩევით კურსებად შეთავაზებულია 94 კრედიტი, საიდანაც სტუდენტმა მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მიმართულების კურსებით. პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტიდან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 50 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს მისთვის სასურველი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი დამატებითი პროგრამა ან სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობების დაცვით.

პროგრამაში 20 კრედიტი გათვალისწინებულია უცხოური ენებისთვის. ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა თუ სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან თუ წარმოადგენს B2 დონის ან უფრო მაღალ დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს ან უცხოეთში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ან წარმატებით ჩააბარებს შხსუს ენის სკოლაში ინგლისური ენის B2 დონის გამოცდას. თუ სტუდენტს უდასტურდება ინგლისური ენის ცოდნა მოთხოვნილ B2 ან უფრო მაღალ დონეზე, მაშინ მან უცხოური ენებისთვის გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში უნდა აიღოს შემოთავაზებული უცხოური ენებიდან ერთ-ერთი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ინგლისური ენის შესწავლას იწყებს A1 დონიდან, სავალდებულოდ უნდა აირჩიოს ინგლისური ენის ინტენსიური A1-A2 სასწავლო კურსი.

დასაქმების სფერო: საბაკალავრო პროგრამა შესანიშნავ გამოცდილებას აძლევს იმ პირებს, ვინც კარიერის დაწყებას სახელმწიფო და კერძო საწარმოებში გეგმავს, ამზადებს ეკონომიკის დარგში პოსტ-საბაკალავრო განათლების მიღების მსურველებს. კერძოდ, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამთავრობო სტრუქტურებში, როგორცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სხვა ორგანიზაციების ეკონომიკური დეპარტამენტები. ამასთანავე, კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სპეციალიზირდებიან ეკონომიკაში, სამეცნიერო კვლევით ცენტრებში, რომლებიც იკვლევენ ძირითად ეკონომიკურ ტენდენციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბანკებსა და კერძო კომპანიებში. შეძლებენ სწავლის გაგრძელებას სამაგისტრო საფეხურზე.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:



საგანმანათლებლო პროგრამა

- ✓ პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✓ უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ✓ უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი რესურსები;
- ✓ უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.
- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. აგრეთვე ელექტრონული ბიბლიოთეკის საშუალებით; შხსუ არის შემდეგი ელექტრონული ბაზების ავტორიზებული მომხმარებელი:

<https://www.ebsco.com/>

<https://www.elsevier>

<http://polpred.com/>

www.journals.cambridge.org

<https://home.heinonline.org/>

www.opendoar.org

www.roar.eprints.org

www.doaj.org

www.beallslst.weebly.com

www.gutenberg.org

www.memory.loc.gov

www.wdl.org

www.obiblio.sourceforge.net

<https://www.cambridge.org/core>

<https://read.dukeupress.edu>

<https://www.elgaronline.com/>

<https://erj.ersjournals.com/>



საგანმანათლებლო პროგრამა

<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>

<https://msp.org/>

<https://www.openbookpublishers.com/>

<https://royalsociety.org/journals/>

<https://journals.sagepub.com>

<https://home.heinonline.org/databases/legal-classics-library/>

- გარდა ამისა უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა კლასგარეშე აქტივობებისათვის (სპორტი, შემოქმედება, სოციალური აქტივობა);



საგანმანათლებლო პროგრამა

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება							საკონტაქტო საათების რაოდენობა
			I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო				დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები		
			I	II	I	II	V	VI	V	VI	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდები	დასკვნითი გამოცდა			სულ საკონტაქტო	
სავალდებულო კომპონენტი	სავალდებულო	150	20	20	18	20	20	20	15	17	799	881	62	70	1913	2455	4325	116
საბაზისო სასწავლო კურსები		10																
აკადემიური წერა	სავალდებულო	5	5								15	28	2	2	47	78	125	3
ინფორმაციული ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5								14	29	2	2	47	78	125	3



საგანმანათლებლო პროგრამა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები		123								770	824	58	66	1819	2299	4075	110
მათემატიკა I	სავალდებულო	5	5							28	30	2	2	62	63	125	3
მიკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5	5							27	16	2	2	47	78	125	3
მათემატიკა II	სავალდებულო	6		6						28	30	2	2	62	88	150	4
მაკროეკონომიკის საფუძვლები	სავალდებულო	5		5						27	16	2	2	47	78	125	3
ბულალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სავალდებულო	5		5						16	27	2	2	47	78	125	3
მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია	სავალდებულო	4		4						30	13	2	2	47	53	100	3
ფსიქოლოგიის საფუძვლები	სავალდებულო	4		4						29	14	2	2	47	53	100	3
სოციოლოგიის საფუძვლები	სავალდებულო	5		5						27	16	2	2	47	78	125	3
სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებისათვის I	სავალდებულო	5		5						29	14	2	2	47	78	125	3
ეკონომიკური აზრის ისტორია	სავალდებულო	4		4						17	26	2	2	47	53	100	3
მონეტარული ეკონომიკა	სავალდებულო	5			5					28	15	2	2	47	78	125	3
სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებისათვის II	სავალდებულო	5			5					29	14	2	2	47	78	125	3
საჯარო სექტორის ეკონომიკა	სავალდებულო	5			5					31	12	2	2	47	78	125	3
საერთაშორისო ეკონომიკა	სავალდებულო	5			5					17	26	2	2	47	78	125	3
მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)	სავალდებულო	5				5				30	13	2	2	47	78	125	3
ეკონომეტრიკა I	სავალდებულო	5				5				24	19	2	2	47	78	125	3
ფისკალური ეკონომიკა	სავალდებულო	5				5				29	14	2	2	47	78	125	3
ბიზნეს ინგლისური I	სავალდებულო	5					5*			28	15	2	2	47	78	125	3
მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	სავალდებულო	5						5		30	13	2	2	47	78	125	3
ეკონომეტრიკა II	სავალდებულო	5						5		21	22	2	2	47	78	125	3



საგანმანათლებლო პროგრამა

ევროინტეგრაციის ეკონომიკა	სავალდებულო	5							5			33	10	2	2	47	78	125	3
ბიზნეს ინგლისური II	სავალდებულო	5							5*			28	15	2	2	47	78	125	3
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	სავალდებულო	5							5			23	20	2	2	47	78	125	3
ეკონომიკის ზრდა და განვითარება	სავალდებულო	5							5			33	10	2	2	47	78	125	3
ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	5							5			29	14	2	2	47	78	125	3
პრაქტიკის კომპონენტი		10																	
პრაქტიკა	სავალდებულო	10									10		180		1	181	69	250	12
სასწავლო-კვლევითი კომპონენტი	სავალდებულო	7																	
საბაკალავრო ნაშრომი	სავალდებულო	7									7		45		1	46	129	175	3
უცხოური ენის კომპონენტი	სავალდებულო თავისუფალი- არჩევითი	20																	
ინგლისური ენა A1-A2/A2/B1/B2.1/B2.2/რუსული A1/A2/B1/B2, გერმანული A1/A2/B1/B2, ფრანგული A1/A2/B1/B2, ესპანური A1/A2/B1/B2, თურქული A1/A2/B1/B2)	სავალდებულო თავისუფალი- არჩევითი	20/23	5/8	5	5	5						157	165	8	14	340	231	575	22
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	არჩევითი	20**	5	5	5	4	5	5	5	5	5	112	72	8	8	188	312	500	12
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	არჩევითი	5	5									26	17	2	2	47	78	125	3
ფილოსოფიის საფუძვლები	არჩევითი	5	5									16	27	2	2	47	78	125	3
მარკეტინგის საფუძვლები	არჩევითი	5		5								29	14	2	2	47	78	125	3
მენეჯმენტის საფუძვლები	არჩევითი	5		5								28	15	2	2	47	78	125	3
შესავალი ფინანსებში	არჩევითი	5			5							14	29	2	2	47	78	125	3



საგანმანათლებლო პროგრამა

მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება ელექტრონული ცხრილებით*	არჩევითი	5			5						14	29	2	2	47	78	125	3
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	არჩევითი	4			4						28	15	2	2	47	53	100	3
საერთაშორისო ფინანსები	არჩევითი	4			4						26	17	2	2	47	53	100	3
აგრარული ეკონომიკა*	არჩევითი	5				5					27	16	2	2	47	78	125	3
ინოვაციური ეკონომიკა*	არჩევითი	5				5					16	27	2	2	62	88	150	3
ტურიზმის ეკონომიკა*	არჩევითი	5				5					13	11	2	2	30	95	125	3
საქართველოს ეკონომიკა*	არჩევითი	5						5			28	15	2	2	47	78	125	3
პითონი (Python) ბიზნესისა და ეკონომიკისთვის*	არჩევითი	5						5			28	15	2	2	47	78	125	3
ფინანსური აღრიცხვა	არჩევითი	6							6		29	29	2	2	62	88	150	4
შრომის ეკონომიკა*	არჩევითი	5							5		27	16	2	2	47	53	100	3
მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა*	არჩევითი	5							5		29	14	2	2	47	78	125	3
ქცევითი ეკონომიკის შესავალი*	არჩევითი	5								5	14	14	2	2	32	93	125	3
შესავალი საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში*	არჩევითი	5								5	28	15	2	2	47	53	100	3
ეკონომიკის სექტორული ანალიზი და სტაბილიზაციის პოლიტიკა*	არჩევითი	5								5	29	14	2	2	47	78	125	3
თავისუფალი სასწავლო კურსები/დამატებითი პროგრამა	არჩევითი	50			5	5	10	1	10	10	243	126	1	18	445	727	1175	27
თავისუფალი სასწავლო კურსები/დამატებითი პროგრამა																		
სულ		240	3	3	3	3	30	3	30	30	118	110	9	10	254	349	600	15
			0	0	0	0		0			2	9	0	2	6	4	0	5

შენიშვნა: არჩევითი საგნების სემესტრები მითითებულია პირობითად. *ეკონომიკის მიმართულების კურსები



საგანმანათლებლო პროგრამა

*** * სტუდენტმა მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მიმართულების კურსებით.**

წინაპირობების ცხრილი

კურსი სავალდებულო კომპონენტი	წინაპირობა			
	აკადემიური წერა	-	-	-
ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	-	-	-
მათემატიკა I	-	-	-	-
მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-	-
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	-	-	-	-
მათემატიკა II	მათემატიკა I	-	-	-
მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-
ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	-	-	-	-
მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია	-	-	-	-
სოციოლოგიის საფუძვლები	-	-	-	-
ბიზნეს ინგლისური I	ზოგადი ინგლისური B 2.2	-	-	-
სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის 1	მათემატიკა II	-	-	-
ეკონომიკური აზრის ისტორია	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-
ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	-	-	-
ბიზნეს ინგლისური II	ბიზნეს ინგლისური I	-	-	-
სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის 2	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის 1	-	-	-
საერთაშორისო ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-



საგანმანათლებლო პროგრამა

მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-	
მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)	მიკროეკონომიკის საფუძვლები	ზოგადი ინგლისური B 2.2	-	-
ეკონომეტრიკა I	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის 2	ზოგადი ინგლისური B 2.2	-	-
ეკონომეტრიკა 2	ეკონომეტრიკა I	ბიზნეს ინგლისური I		-
ფისკალური ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ზოგადი ინგლისური B 2.2	-	-
მონეტარული ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-
საჯარო სექტორის ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	-	-	-
ევროინტეგრაციის ეკონომიკა	საერთაშორისო ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	ეკონომეტრიკა 2	ბიზნეს ინგლისური I		-
ეკონომიკის ზრდა და განვითარება	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-	-
ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები		
პრაქტიკა	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები			
საბაკალავრო ნაშრომი	წინა სემესტრების სავალდებულო კრედიტები			
ინლისური ენის კომპონენტი				
ინტენსიური ინგლისური A1-A2	-			
ზოგადი ინგლისური B1	ინტენსიური ინგლისური A 1 - A 2			
ზოგადი ინგლისური B2.1	ზოგადი ინგლისური B 1			
ზოგადი ინგლისური B2.2	ზოგადი ინგლისური B 2.1			
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები				



საგანმანათლებლო პროგრამა

შესავალი ბიზნესის ადმინისტრირებაში	-	-	-	-
ფილოსოფიის პრინციპები	-	-	-	-
მარკეტინგის პრინციპები	-	-	-	-
მენეჯმენტის პრინციპები	-	-	-	-
შესავალი ფინანსებში	-	-	-	-
აგრარული ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ზოგადი ინგლისური B 2.2		-
ქცევითი ეკონომიკის შესავალი	ფსიქოლოგიის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-	-
	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-
ტურიზმის ეკონომიკა	მიკროეკონომიკის საფუძვლები	ზოგადი ინგლისური B 2.2	-	-
მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება ცხრილებით	ინფორმაციული ტექნოლოგიები		-	-
მაკროეკონომიკური დიაგნოზი	მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-
ეკონომიკის სექტორული ანალიზი და სტაბილიზაციის პოლიტიკა	ეკონომეტრიკა 2	ეკონომეტრიკა 1	-	-
	მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	-
საქართველოს ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები		
პითონი (Python) ბიზნესისა და ეკონომიკისთვის	მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება ცხრილებით	ინფორმაციული ტექნოლოგიები	სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში II	-
ინოვაციური ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	ზოგადი ინგლისური B 2.2		-
საერთაშორისო ფინანსები	შესავალი ფინანსებში	-	-	-
ფინანსური ანგარიში	ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	-	-	-



საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის სამართლებრივი გარემო	-	-	-	-
შესავალი საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	-	-
შრომის ეკონომიკა	მაკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის საფუძვლები	ბიზნეს ინგლისური I	

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კოდი	სემესტრი	წინაპირობა	ლექტორი
სავალდებულო კომპონენტი				
აკადემიური წერა	BUS119	I	წინაპირობის გარეშე	მარიამ ბაკურიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
ინფორმაციული ტექნოლოგიები	CEN122	I	წინაპირობის გარეშე	დავით დათუაშვილი, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
მათემატიკა I	BUS113	I	წინაპირობის გარეშე	პროფ. დოქტ. ნინო ფარცვანია, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი



საგანმანათლებლო პროგრამა

მიკროეკონომიკის საფუძვლები	BUS211	I	წინაპირობის გარეშე	რამაზ გერლიანი , ავილირებული ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი .
მათემატიკა II	BUS114	II	BUS113 მათემატიკა I	ნინო ფარცვანია, პროფ. დოქტ. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
მაკროეკონომიკის საფუძვლები	BUS212	II	BUS211 მიკროეკონომიკის საფუძვლები	ლაშა ქავთარაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	ACT211	II	წინაპირობის გარეშე	სოფიო ხუნდაძე, ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი
მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია	ECO405	II	წინაპირობის გარეშე	რამაზ გერლიანი, ავილირებული ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.
სოციოლოგიის საფუძვლები	ECO017	III	წინაპირობის გარეშე	გივი ამალაშვილი, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის I	ECO 105	III	BUS 114 მათემატიკა II	ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ფსიქოლოგიის საფუძვლები	ECO016	III	წინაპირობის გარეშე	შორენა კუჭუხიძე, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
ეკონომიკური აზრის ისტორია	ECO402	III	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები	რამაზ გერლიანი , ავილირებული ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი .
სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის II	ECO 106	IV	ECO 105 სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში I	ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
საჯარო სექტორის ეკონომიკა	ECO315	IV	BUS212 მაკროეკონომიკის საფუძვლები	ლიკა გოგაძე, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი,
მონეტარული ეკონომიკა	ECO118	IV	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები	რომან გოცირიძე, ავილ. პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
საერთაშორისო ეკონომიკა	ECO 165	IV	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები	რამაზ გერლიანი , ავილირებული ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი .
ბიზნეს ინგლისური I	BUS117	V	HUM076 ზოგადი ინგლისური B2.2	თეონა მაისურაძე, ავილ. ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)	ECO 222	V	BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები, HUM076 ზოგადი ინგლისური B2.2	გიორგი ბაქრაძე, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
ეკონომეტრიკა I	ECO 223	V	ECO106 სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისათვის II, HUM076 ზოგადი ინგლისური B2.2	ლაშა ქავთარაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
ფისკალური ეკონომიკა	ECO115	V	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, HUM076 ზოგადი ინგლისური B2.2	ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ევროინტეგრაციის ეკონომიკა	ECO 411	VI	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, ECO 165 საერთაშორისო ეკონომიკა, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	მერაბ აბდალაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)	ECO 122	VI	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	გიორგი ბაქრაძე, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი
ეკონომეტრიკა II	ECO053	VI	ECO223 ეკონომეტრიკა I, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ლაშა ქავთარაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
ბიზნეს ინგლისური 2	BUS118	VI	ბიზნეს ინგლისური 1	აფილ. ასოც. პროფ. დოქტ. თეონა მაისურაძე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში	SSF301	VII	ECO 053 ეკონომეტრიკა II, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ლაშა ქავთარაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
ეკონომიკის ზრდა და განვითარება	ECO 401	VII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ლაშა ზივზივაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი
ეკონომიკის პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა	ECO 656	VII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები	რამაზ გერლიანი , აფილირებული ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი .
პრაქტიკა	ECO 432	VIII	პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კრედიტი.	აზერ დილანჩიევ, აფილ. ასოც. პროფ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი



საგანმანათლებლო პროგრამა

საბაკალავრო ნაშრომი	ECO 300	VIII	პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კრედიტი.	-
ინლისური ენის კომპონენტი				
ინტენსიური ინგლისური A1-A2	HUM 095	I	წინაპირობის გარეშე	მერი იობიძე, მოწვეული ლექტორი, დოქტორი
ზოგადი ინგლისური B1	HUM 079	II	HUM 095 ინტენსიური ინგლისური A1-A2	ვალერია ლობჯანიძე, მოწვეული ლექტორი, დოქტორი
ზოგადი ინგლისური B2.1	HUM 075	III	HUM 079 ზოგადი ინგლისური B1	ები რაიდი, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი ნატო ფაჩუაშვილი, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
ზოგადი ინგლისური B2.2	HUM 076	IV	HUM 075 ზოგადი ინგლისური B2.1	ები რაიდი, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი ნატო ფაჩუაშვილი, მოწვეული ლექტორი, მაგისტრი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები				
ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	BUS111	I-VIII	წინაპირობის გარეშე	თეა კბილცეცხლაშვილი, ავილ. პროფ. დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი მაკა ბულულაშვილი, ავილ. ასოც. პროფ. დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ფილოსოფიის საფუძვლები	INT218	I-VIII	წინაპირობის გარეშე	ხათუნა ამალღობელი; ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი /ფილოსოფიის დოქტორი; მოწვეული პროფესორი
მარკეტინგის საფუძვლები	MKT102	I-VIII	წინაპირობის გარეშე	კახაბერ ჯაყელი, ავილ. ასოც. პროფ. დოქტ. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. თორნიკე ხომტარია, დოქტორი, მოწვეული ლექტორი.
მენეჯმენტის საფუძვლები	MGT102	I-VIII	წინაპირობის გარეშე	მაკა ბულულაშვილი, ავილ. ასოც. პროფ. დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი. თეონა მასისურაძე, ავილიერებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.



საგანმანათლებლო პროგრამა

ფინანსების საფუძვლები	FIN202	I-VIII	წინაპირობის გარეშე	თეა კბილცეცხლაშვილი, აფილ. პროფ.დოქტ. ბიზნესის მართვის დოქტორი. ილია ბოცვაძე, აფილ.ასოც.პროფ.დოქტ. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.
აგრარული ეკონომიკა	ECO 207	VI-VIII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	თენგიზ თაქთაქიშვილი, ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი,
ქცევითი ეკონომიკის საფუძვლები	ECO 164	VI-VII	BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I , FSS 002 ფსიქოლოგიის საფუძვლები	ნინო ჯოჯუა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
ტურიზმის ეკონომიკა	ECO 317	VI-VIII	BUS 117 ბიზნეს ინგლისური I, BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები	გიორგი ბრეგაძე, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	FIN411	II-VIII	CEN122ინფორმაციული ტექნოლოგიები	დავით დათუაშვილი, აფილ. ასისტ.პროფ.დოქტ ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში
მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა	ECO 167	VII-VIII	ECO 122 მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ეკონომიკის სექტორული ანალიზი და სტაბილიზაციის პოლიტიკა	ECO169	VII-VIII	ECO 122 მაკროეკონომიკა (საშუალო დონე),BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I, ECO 053 ეკონომეტრიკა II, ECO 052 ეკონომეტრიკა I	ლაშა ქავთარაძე, მოწვეული ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი.
საქართველოს ეკონომიკა	ECO 315	III-VIII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები	რომან გოცირიძე, აფილ. პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.



საგანმანათლებლო პროგრამა

ინოვაციური ეკონომიკა	ECO 007	V-VIII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, HUM076 ზოგადი ინგლისური B2.2	ტენგიზ თაქთაქიშვილი, ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი.
მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა	ECO167	VII	BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ვახტანგ ჩალაფეიქრიშვილი, მოწვეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
საერთაშორისო ფინანსები	FIN304	IV-VIII	FIN 202 ფინანსების საფუძვლები	დავით ასლანიშვილი, დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ფინანსური აღრიცხვა	ACT314	III-VIII	ACT211 ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	სოფიო ხუნდაძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი. მოწვეული ლექტორი. მიხეილ გვათუა, მაგისტრი, მოწვეული ლექტორი.
ბიზნესის სამართლებრივი გარემო	BUS106	I-VIII	წინაპირობის გარეშე	მალხაზ ჩახნაშვილი, ავილ.ასოც. პროფ.დოქტ. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
შესავალი საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიაში	INT450	III-VIII	BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები	ანა გოგოლაძე, მოწვეული ლექტორი, საჯარო მმართველობის მაგისტრი
პითონი(Python) ბიზნესისა და ეკონომისტებისთვის	BUS 326	V-VIII	CEN 122 ინფორმაციული ტექნოლოგიები, ECO 106 სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში II, FIN 411 მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება ელექტრონული ცხრილებით	დოქტორი დავით დათუაშვილი ასისტენტ ავილირებული პროფესორი
შრომის ეკონომიკა	ECO 054	VI-VIII	BUS 211 მიკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 212 მაკროეკონომიკის საფუძვლები, BUS 117 ბიზნეს ინგლისური I	ნინო ქავთარაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული ლექტორი.